სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ივნისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/109

ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „კრიზისების მიმართ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის გამძლეობის ანალიზი“ საბოლოო პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, „ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 იანვრის №01-02/01 ბრძანების, „ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების, პროექტის ხელმძღვანელების/მენეჯერის, პაატა ჩაგანავას სამსახურებრივი ბარათისა (MES 5 26 0000436414, 15.04.2026) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 03 ივნისის სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის **„კრიზისების მიმართ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის გამძლეობის ანალიზი“** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების დანართი N13), ხელმძღვანელის/მენეჯერის, ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ **პაატა ჩაგანავას** მიერ წარმოდგენილი **საბოლოო პროგრამული ანგარიში** შესრულებული პროექტის თაობაზე (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი** - გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტის ბიუჯეტის (სულ 19 920 ლარი) შესაბამისად <u>გაწეული ხარჯების</u> (ჯამში 7920 ლარი) შესახებ.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს, პროექტების განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით შესაბამის ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ

დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**